ყინვაში გაყოფილი ქულები

მოსკოვი. ვ.ი. ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონი. 4 ნოემბერი.

“სპარტაკი” (მოსკოვი) – “დინამო” (თბილისი) 1:1 (1:1).

სპარტაკი”: მასლაჩენკო, ჟიტკუსი, დიკარევი, კორნეევი, კრუტიკოვი, ამბარცუმიანი, ლოგოფეტი, რეინგოლდი, სიომინი (იანკინი), ოსიანინი, ჰუსაინოვი.

“დინამო”: ურუშაძე, ბ. სიჭინავა, ჭელიძე, ხურცილავა (შერგელაშვილი), პეტრიაშვილი, ხართიშვილი, ილიადი, დათუნაშვილი, მეტრეველი, იამანიძე, მესხი.

მსაჯი ა. ზვერევი (ლენინგრადი).

დუბლიორთა მატჩი მოიგეს დინამოელებმა – 3:0.

“მეტეოროლოგიურ” პირობებს ამ დღეს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. სიცივის ფაქტორი ძალიან აღელვებდა დინამოელთა ხელმძღვანელობას და ფეხბურთელებს. ჩვენი გუნდი მინდორზე რეიტუზებში და ხელთათმანებით გამოვიდა.

სპარტაკელები საგანგებო ყურადღებით მიუდგნენ თამაშს. ისინი უკანასკნელად ამოწმებდნენ თავიანთ მზადყოფნას ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასზე ვენის “რაპიდთან” შეხვედრის წინ, ხოლო თბილისელები “იღებდნენ” სინჯს სამხრეთ ამერიკის სტადიონებზე მეტად საპასუხისმგებლო ტურნესთვის. შეხვედრისადმი ინტერესს აძლიერებდა ისიც, რომ მეტოქეთა შორის ქულათა სხვაობა მხოლოდ ორს უდრიდა და წარმატება რამდენიმე საფეხურით მაღლა სწევდა გუნდს გათამაშების ცხრილში.

ვინც ორიოდე წუთით მაინც გაიგვიანა მატჩზე, ვერ ნახა პირველი გოლი. მისი ავტორი იყო რეინგოლდი, რომელმაც ზუსტად დააგვირგვინა “სპარტაკის” პირველივე შეტევა. თბილისელებმა მარცხს მძაფრი იერიშებით უპასუხეს და გაშლილი ფრონტით შეუტიეს მეტოქეს. იამანიძე აქტიურად ეხმარებოდა ნახევარდაცვას, შეტევის დროს კი სწრაფად უბრუნდებოდა თავდასხმის ხაზს. ხშირად იცვლიდნენ ადგილებს დათუნაშვილი და მეტრეველი. იგრძნობოდა, რომ მასლაჩენკოს კარში გოლი მწიფდებოდა. ასეც მოხდა! მე-19 წუთზე ერთ-ერთი კომბინაციის დასასრულს მეტრეველმა წამით დაასწრო მცველს და ზუსტი დარტყმით გაქვითა ანგარიში – 1:1.

30-ე წუთზე მესხმა ჩააწოდა კარის სიახლოვეს მყოფ მეტრეველს, მაგრამ ამჯერად მას უკვე დაასწრო კრუტიკოვმა და ბურთი გადააბარა... ხართიშვილს. უძლიერესი დარტყმა ოდნავ აცდა კარს.

მეორე ნახევარი წარიმართა სპარტაკელთა უპირატესობით. განსაკუთრებით აქტიურობდა რეინგოლდი.

66-ე წუთზე დინამოელთა ერთ-ერთ მცველთან შეჯახებისას საჯარიმო მოედანზე იგი წაიქცა, რისთვისაც დაინიშნა 11-მეტრიანი დარტყმა. ჯარიმის რეალიზება მიენდო ლოგოფეტს. ორიოდე წამის შემდეგ ტრიბუნებს მქუხარე ტაში მოწყდა. იგი ეკუთვნოდა ურუშაძეს, რომელმაც შესანიშნავ ნახტომში მოიგერია ბურთი კუთხურზე. საერთოდ, თბილისელთა მეკარემ ჩინებულად ითამაშა.

ეს იყო და ეს. შემდგომში მატჩში დასამახსოვრებელი ფრაგმენტები აღარ ყოფილა. მეტოქეებმა გაიყვეს ქულები.

ო. ნოზაძე (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.).
“ლელო”, 5 ნოემბერი, 1966 წ.